კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

მედიცინის ფაკულტეტი

ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

მედიცინა

0912.1.1

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 03-2024

19 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 03-2024

19 აპრილი, 2024 წელი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

მედიცინა

2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლება

3. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

4. ფართო სფერო

ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

5. ვიწრო სფერო

ჯანდაცვა

6. დეტალური სფერო

მედიცინა

7. სწავლის სფერო

მედიცინა

8. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

360 კრედიტი

9. სწავლის ხანგრძლივობა

6 წელი, 12 სემესტრი.

10. სწავლების ფორმა

დასწრებული

11. სწავლების ენა

ქართული

12.მისანიჭებელი კვალიფიკაცია

დიპლომირებული მედიკოსი

Medical Doctor

13. პროგრამის ხელმძღვანელი

სოფიო კასრაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;

14. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 48-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.

პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა აბიტურიენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე:

ჩაბარებული ჰქონდეს ინგლისური ენა, მინიმუმ 40 +1 % (B1 დონე);

ქიმიასა და ბიოლოგიაში მიღებული ჰქონდეს 35+1 %;

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური სემესტრის შემდეგ, მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

თუ მობილობით პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ეროვნული გამოცდა არა აქვს ჩაბარებული ინგლისურში, შესაძლებლობა ეძლევა დაადასტუროს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნა (წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან ჩააბაროს გამოცდა უნივერსიტეტის ენების ცენტრში). ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების /თანხმობის საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვალდებულია დაადასტუროს ქართული და ინგლისური ენების ცოდნა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც აბიტურიენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. **http://www.ciu.edu.ge.**

15. სწავლის პერიოდი და მოცულობა

ერთი აკადემიური წელი გრძელდება **38 კვირა;**

I სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა;**

II სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა.**

აქედან:

ა) **1-16 კვირა** სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია–სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, პრაქტიკული მეცადინეობები კლინიკაში, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება და დაცვა.

ბ) **მე-17 – მე–18 კვირა** დასკვნითი გამოცდების პერიოდია;

დ) **მე- 19 კვირა-ს** ტარდება განმეორებითი გამოცდები;

16. პროგრამის მიზანი

სამედიცინო განათლება მომავალში წარმატებული სამედიცინო პრაქტიკის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები, ინტერნაციონალიზაცია და ინტეგრირებული სწავლების მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საჭიროებას.

წინამდებარე მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიღებული სამედიცინო განათლების საერთაშორისო აღიარებას და კურსდამთავებულების დასაქმებას, ასევე უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას ქვეყანაში.

პროგრამა ეფუძნება სამედიცინო განათლების დარგობრივ სტანდარტს, რომელიც მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებთანაა შესაბამისობაში. საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საბაზისო სამედიცინო განათლების ხარისხისა და წარმატებული სამედიცინო პრაქტიკის შესაბამისობა უზრუნველყოფს ნებისმიერი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალურ ფუნქციონირებას.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
- სტუდენტს მისცეს თანამედროვე ცოდნა საბაზისო ბიოსამედიცინო, კლინიკურ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ქცევით და სოციალურ მეცნიერებებში;
- კურსდამთავრებული ფლობდეს სწავლების ამ საფეხურისთვის შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;

- გამოუმუშავოს სტუდენტს ეთიკური ღირებულებები, პროფესიონალიზმი;
- გააცნოს პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა;
- კურსდამთავრებული ფლობდეს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში საჭირო მუდმივი სწავლისა და განვითარებისთვის საჭირო უნარებს, ასევე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საჭირო უნარებს.

17. საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა და სტრუქტურა

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა – 360 კრედიტი

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე პროფესიისათვის. **ის არის ნაწილობრივ ინტეგრირებული და მოიცავს 360 კრედიტს.**

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ასეთია:

სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები - 337 კრედიტი, მათ შორის:

- **სამეცნიერო კვლევის უნარების სავალდებულო სასწავლო კურსები - 11 კრედიტი;**
- **კლინიკური უნარ-ჩვევების სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის მოდულში) - 17 კრედიტი;**

გარდა ამისა:

- **სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 13 კრედიტი;**
- **საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები- 5 კრედიტი;**
- **საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი.**

18. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები (სწავლების მეთოდოლოგია)

საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობათა ინტეგრირება. **თეორიულ მეცადინეობათა დანიშნულებაა** – სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი თემების თეორიულ ჭრილში განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა სავალდებულო ლიტერატურითა და ინფორმაციით შესასწავლი დისციპლინის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ.

პრაქტიკულ მეცადინეობათა დანიშნულებაა –სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება; შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისიგამოყენების შესაძლებლობათა გამოკვეთა; საგნობრივ სფეროში გადაწყვეტილებათა მომზადება-მიღების პროცესებზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზისა დაობიექტურად შეფასების, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებას.

ლექციებზე ძირითადად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**- ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა,პრეზენტაცია;
- **დისკუსია/დებატები** - სტუდენტების კამათშიგამოწვევა, ინტერაქტიულილექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- **ბრეინსთორმინგი** - გულისხმობს სტუდენტთა გონებრივი შესაძლებლობების რეალიზაციის სტიმულირებას, რომლის დროსაც ერთი საკითხის ირგვლივ ხდებასტუდენტთა სხვადასხვა იდეების გენერირება და მათი კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით;
- **დემონსტრირების მეთოდი;**

პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწობს ხელს სწავლების შემდეგი მეთოდები:

- **შემთხვევის ანალიზი, ან კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლების მეთოდი,** რომელიც აღწერს კონკრეტულ სიტუაციებს, კლინიკურ შემთხვევებს, პრობლემებს, საჭიროებს განსჯას და ხელს უწყობს სტუდენტებში ლოგიკური აზროვნების განვითარებას;
- **ჯგუფში დისკუსია/დებატები**- პრაქტიკული მეცადინეობების დროს სტუდენტების კამათში გამოწვევა,საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი;**
- **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს: ტესტურ მუშაობას, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლოლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისებისა და რეფერატების მომზადებას;
- **გუნდური მუშაობა,** რაც ითვალისწინებს აკადემიურ ჯგუფებში 5-6 კაციანი გუნდების ჩამოყალიბებას, გუნდების მიერ სემინარებისა და დროში გაწერილი სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების ერთობლივ წარმოდგენას,გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას;პაციენტის საწოლთან სწავლებას, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარებას, კონსულტაციების მიცემას და დამოუკიდებელ მუშაობას.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - ეს მეთოდი სასწავლო პროცესს აკავშირებს გადაწყვეტილებების მიღების და პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავებასთან, რაც ესოდენ საჭიროა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მედიცინაში. ხელმძღვანელთან

მუშაობის პროცესში სტუდენტები განიხილავენ კლინიკურ შემთხვევებს, აყალიბებენ შესაძლებელ პრობლემებს, მსჯელობენ სავარაუდო დიაგნოზზე, დიაგნოსტიკურ მეთოდებზე, სწავლობენ მკურნალობის გეგმას, ისმენენ სხვათა მოსაზრებებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად სტუდენტებს უჩნდებათ მოტივაცია უფრო ღრმად ჩასწვდნენ პრობლემის არსს,მოიძინო და შეისწავლონ სხვადასხვა ლიტერატურა დამოუკიდებლად იმისათვის, რომ მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება და დაიცვან ასეთი გადაწყვეტილება, დააკავშირონ საბაზისო საგნების თეორიული ცოდნა კლინიკურ საგნებთან, განივითარონ გუნდური მუშაობის უნარები, რაც არსებითია კლინიკური პრაქტიკისთვის.

- **ინოვაციური ინფორმაციის/მასალის მოძიების მეთოდი;**
- **სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობა.**

19. სწავლა, სწავლება და სწავლების ფორმები

სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება ვირტუალური სიმულაციის ცენტრში და კლინიკურ გარემოში (როგორც უმცროს კურსელებისთვის, ასევე უფროს კურსელთათვის). სწავლებისას უპირატესობა ენიჭება ახალ ტექნოლოგიებს.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ სწავლის პროცესში გამომუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება დამოუკიდებლად, სიმულატორებზე, ან ზედამხედველობის ქვეშ პაციენტთან.

სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება:

- ინტერაქტიური ლექციები, სემინარები;
- შუალედური გამოცდები;
- ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside teaching);
- პრობლემაზე დაფუძებული სწავლება (PBL);
- კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL);
- ტრენინგი სიმულატორებსა და მულაჟებზე;
- პაციენტისა და ექიმის როლური თამაში;
- ლაბორატორიული სწავლება;
- პრეზენტაციები;
- როტაცები კლინიკურ ბაზებში.

კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო განათლებაში. ამ თვალსაზრისით, სწავლებისას გამოიყენება ისეთი სიმულატორები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ რეალურ დაავადებას, დიაგნოსტიკურ ან სამკურნალო პროცედურას.

სწავლების აუცილებელი მოთხოვნაა სტუდენტისათვის კვლევითი უნარების გამომუშავება. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს. სტუდენტები ესწრებიან და მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში.

ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე ტესტური გამოცდები, **ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE), ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE),** სტანდარტიზებული პაციენტის და/ან სიმულატორების გამოყენებით, პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი.

20. სწავლის შედეგები

ბოლონიის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის საბაზო სამედიცინო განათლების კომპეტენციები განისაზღვრება TUNING/MEDINE-ს მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა არის 6-წლიანი, 364 კრედიტიანი. პროგრამა მიმართულია სამედიცინო საქმისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებაზე, რაც შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციაა დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor/ MD).

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	**მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა:** საბაზო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების შესახებ; წამლებისა და მათი დანიშვნის პრინციპების შესახებ; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ; ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ; **აცნობიერებს:** კომპლექსური კლინიკური პრობლემების გადაჭრის გზებს; ექიმის როლს ჯანდაცვის სისტემაში.
უნარი	**მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია:** კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების

	შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება; აქვს მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი; მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს; შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა; სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისადა ცოდნის გამოყენება. **კურსდამთავრებულს შეუძლია:** **1. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა;** •ანამნეზის შეკრება; •ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება; •კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება; •განმარტებებისა და რჩევების მიცემა; •პაციენტის გამხნევება და მისი უფლებების დაცვა; •პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება; **2. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა:** •კლინიკური შემთხვევის სირთულის გაცნობიერება და შეფასება; •შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია; •დიფერენციული დიაგნოზის გატარება; •პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა; •ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა; •ქრონიკული დაავადების მართვა. **3. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები):** •გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება; •გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა; •ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა; •გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლისშემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება;

	. ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება ჩვილებში, ბავშვებსა და მოხუცებში ასაკის გათვალისწინებით; •გაიდლაინების შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება; •ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად. **4. მედიკამენტების გამოწერა:** •მედიკამენტების გასაგებად და ასაკის შესაბამისად გამოწერა; •შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება; •მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება; •ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა; •მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას. **5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება:** • სიცოცხლის ნიშნების გასინჯვა; სხეულის ტემპერატურის, პულსის, სუნთქისა, წნევის შემოწმება; • ჟანგბადით გაჯერების გაზომვა; • ხელების დაბანა და ხელთათმანების გამოყენება; •ვენეპუნქცია; • ვენაში კათეტერის ჩადგმა; •სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება; •ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში; •ჟანგბადის მიწოდება; •პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა; •ნაკერის დადება; •ჭრილობის დამუშავება და გადახვევა; •სისხლის ტრანსფუზია; •შარდის ბუშტის კათეტერიზაცია; •შარდის ანალიზის გაკეთება; •ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია; •სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება; • ჩასასუნთქი მედიკამენტების სათანადო გამოყენება; **6. ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში:** • კონფიდენციალურობის შენარჩუნება;

	• ეთიკური პრინციპების და ანალიზის გამოყენება საექიმო საქმიანობისას; • ინფორმიებული დასტურის მოპოვება და რეგისტრაცია; • სიკვდილის დადასტურება; •გვამის გაკვეთის მოთხოვნა (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში); • მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვა; •სამედიცინო პრაქტიკის განხორციელება მულტიკულტურულ საზოგადოებაში; **7. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია:** •პაციენტთან კომუნიკაცია; •კოლეგებთან კომუნიკაცია; •კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას; •ნათესავებთან კომუნიკაცია; •უნარშეზღუდულ პირებთან კომუნიკაცია; •კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად; •წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით); •კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია; •კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით; •კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან; •ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. **8. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება:** •დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება; •დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება; •დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა; •ალკოჰოლსა და წამალზე დამოკიდებულების დადგენა. **9. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება:** •მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში; •შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება; •გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. **10. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების**

ეფექტურად გამოყენება:

•კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა;

•პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

•სპეციფიური საინფორმაციო რესურსების მოძიება;

•ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება;

•პირადი ჩანაწერების შენახვა (პორტფოლიო).

11. **სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა დაცოდნის გამოყენება:**

•სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა;

კვლევის დიზაინი, დეტალური დაგეგმვა, მიღებული შედეგების დამუშავება და დასკვნების გაკეთება;

•პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევათა გამოყენების უნარი;

•ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერის უნარი;

•სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნა.

12. **ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა:**

•მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი;

•ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების გატარება;

•საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება;

•ჯანდაცვის ხელშეწყობის ღინისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.

13. **პროფესიონალიზმი**

კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი თვისებები:

• პატიოსნება, კეთილსინდისიერება, ეთიკური პასუხისმგებლობა;

• საქმიანობის კეთილსინდისიერად წარმოების ვალდებულება და ხარისხზე ზრუნვა;

•კრიტიკული და თვით-კრიტიკული შესაძლებლობები, ანალიტიკური პრაქტიკა;

• ემპათია;

• შემოქმედებითობა;

• ინიციატივა, წარმატებისკენ სწრაფვა;

• ადამიანებთან ურთიერთობის უნარი.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**პროფესიონალური მუშაობა:** • საკუთარი შესაძლებლობების ფარგლების აღიარება და დახმარებისთვის მიმართვა; • გაურკვეველ სიტუციასთან გამკლავების და ახალ სიტუაციასთან შეგუების უნარი; • ლიდერობის უნარი; • საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • პრობლემების გადაჭრის უნარი; • გადაწყვეტილებების მიღების უნარი; • მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი; • სხვა დისციპლინის სპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი; • ორგანიზების და დაგეგმვის უნარი (მათ შორის დროის მართვა); • ექიმი, როგორც ექსპერტი; • ანალიზის და სინთეზის უნარი; • სწავლის უნარი (მათ შორის უწყვეტი, დამოუკიდებელი სწავლა); • ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; • სწავლების უნარი; • კვლევის უნარი. **ექიმი ყველასთვის:** • განსხვავებულობის და მულტიკულტურულობის დაფასება; • სხვა ქვეყნების კულტურის და ტრადიციების გაცნობიერება; • საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი; • მეორე ენის ცოდნა; • ზოგადი განათლება.

21. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ცოდნის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

სასწავლო კურსები: სასწავლო კურსის შესწავლისას, სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

შუალედური შეფასების ელემენტი იყოფა კომპონენტებად (მუშაობა ლექციებზე და სამუშაო ჯგუფებში, შუალედური გამოცდები, წინასწარ შერჩეული თემის მომზადება და მისი პრეზენტაცია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, რეფერატის მომზადება და დაცვა და ა.შ.), რომელთაც თავისი პროცენტული წილი აქვთ შესაბამისი ელემენტის ფარგლებში. შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და **ფასდება 20 ქულით.**

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტის კომპონენტების ზუსტი განსაზღვრა. კომპონენტების შინაარსს და ხვედრით წონას განსაზღვრავს კურსის წამყვანი ლექტორი.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებით უნდა დააგროვოს მინიმუმ 25 ქულა.

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მისი ხვედრითი წილი შეფასების სისტემაში შეადგენს 40 ქულას.

დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 ქულის მოპოვების შემთხვევაში.

სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი მიენიჭება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების ჯამით დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი განსაზღვრულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების სისტემის და მისი კომპონენტების შესახებ.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობა) **– მაქსიმალური 30–40 ქულა;**

2. წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის მომზადება და დაცვა – მაქსიმალური 10 ქულა;

3. შუალედური გამოცდა – მაქსიმალური 20 ქულა;

4. დასკვნითი გამოცდა – მაქსიმალური 40 ქულა;

5. საბოლოო შეფასება – მაქსიმალური 100 ქულა.

მოდულის შეფასება:

მოდულში შემავალ თითოეულ საწავლო კურსში სტუდენტი იღებს შუალედურ შეფასებას, რომლის კონპონენტები განსხვავდება სხვადასხვა კურსისთვის და ისინი დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში.

სტუდენმა უნდა მოაგროვოს მინიმუმ 25 ქულა 60 -დან თითოეულ კურსში, რომ იგი დაშვებული იქნას მოდულის ინტეგრირებულ დასკვნით გამოცდაზე.

თუ სტუდენტმა დააგროვა 25 ქულაზე ნაკლები რომელიმე სასწავლო კურსში, იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება, ამ შემთხვცევაში მან განმეორებით უნდა გაიაროს მხოლოდ ეს სასწავლო კურსი.

მოდულის ინტეგრირებული შუალედური შეფასება გამოითვლება სასწავლო კურსის კრედიტის პროპორციის მიხედვით მოდულის საერთო კრედიტთან.

მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ-ერთ მოდულს: კლინიკური მედიცინა

სასწავლო კურსი	კრედიტი	სასწავლო კურსის შუალედური შეფასება მინ 25 ქულა მაქს 60 ქულა	გამრავლების ინდექსი	მოდულის ინტეგრირებული შუალედური შეფასება
სინდრომების დიფერენციული დიაგნოზი	**10**	**N 1**	**10/20**	N 1* 10/20
კლინიკური ფარმაკოლოგია	**5**	**N2**	**5/20**	N2* 5/20
შემაჯამებელი კლინიკური უნარები	**5**	**N3**	**5/20**	N3* 5/20
სულ მოდულის ECTS	**20**			ნამრავლების ჯამი

მოდულში შემავალი სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ ინიშნება დასკვნითი გამოცდა. საგამოცდო მასალა შედგენილია ყველა კურსის მიხედვით. დასკვნითი გამოცდის სტრუქტურა აღწერილია სილაბუსებში.

ლექციებზე აქტიურობისა და სამუშაო ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე შეფასება, შეიძლება განსხვავებული იყოს სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე. სწავლების პროცესში სტუდენტის ცოდნის უწყვეტი შეფასებისათვის გამოყენებულ წესს, ფორმებს, ქულებსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს სასწავლო კურსის პროფესორი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან

და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით. შეფასების წესი, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

22. სტუდენტის ცოდნის / მოსწრების შეფასების სისტემა.

პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება **ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის " შესაბამისი შეფასების სისტემით.**

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

მაქსიმალური დადებითი შეფასება - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა
დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

განსაკუთრებით აღნიშვნას საჭიროებს პროგრამის ერთ-ერთი შედეგი-პროფესიონალიზმი.

პროფესიონალიზმი ერთ- ერთი ძირითადი კომპეტენციაა მედიცინის პროგრამის სტუდენტებისთვის. საუკეთესო პრაქტიკა, თუ როგორ ვასწავლოთ პროფესიონალიზმი, სამედიცინო განათლების ერთ- ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

პროფესიონალიზმის ელემენტების შეძენას სტუდენტი იწყებს სწავლების პირველივე წლიდან, ეს პროცესი გრძელდება მეექვსე კურსის ჩათვლით.

პროფესიონალიზმი ფასდება სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, გამოიყენება განსხვავებული კითხვარები, OSCE, 360 გრადუსიანი შეფასება, ე.წ. „განსაკუთრებული შემთხვევის“ შესახებ რეპორტი, პორტფოლიო.

პროფესიონალიზმის შეფასება რთულია, ამას მოწმობს ის უამრავი სტატია / ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება ამ თემას. ამ ლიტერატურის გაცნობისა და ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ პროფესიონალიზმის შეფასების მეთოდები, რომლებიც, ვფიქრობთ, რომ შესაფერისია ჩვენი პროგრამისა და უნივერსიტეტისთვის.

პროფესიონალიზმის შეფასების მეთოდები თან ახლავს პროგრამას.

23. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA)

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების **4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

24. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძლევა შესაბამისი პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

აკადემიური ხარისხის / კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 364 ECTS კრედიტის დაგროვება.

25. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება **კუმულატიური GPA,** რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

GPA 3.5 და მეტი – წარჩინების დიპლომი: კომპეტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

GPA 3.5-ზე ნაკლები- ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

26. დასაქმების სფერო

უმაღლესი სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულს (დიპლომირებულ მედიკოსს), მოქმედი კანონმდებლობით, არა აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს, ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი“ (კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-7 მუხლი).

დიპლომირებული მედიკოსის დასაქმების სფეროებია:

- საექიმო საქმიანობა უმცროს ექიმად. უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (კანონი `საექიმო საქმიანობის შესახებ~, მე-5 მუხლი);
- პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

27. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

კომპეტენციათა რუქა

სასწავლო კურსი/მოდული	კომპეტენციათა რუქა		
	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ანატომია კლინიკური კორელაციებით 1 (საყრდენ- მამოძრავებელი სისტემა)	X	X	
ციტოლოგია, ზოგადი ემბრიოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია	X	X	
მოდული - სხეულის სრუქტურა კლინიკური კორელაციებით *ანატომია კლინიკური კორელაციებით 2* (საყრდენ- მამოძრავებელი სისტემა) *ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია (საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა)* *ფიზიოლოგია*	X	X	
საქართველოს ისტორია	X	X	
ინგლისური ენა მედიკოსებისთვის 1	X	X	
ზოგადი ბიოქიმია	X	X	
ინგლისური ენა მედიკოსებისთვის 2	X	X	
მოლეკულური ბიოლოგია	X	X	
სამედიცინო გენეტიკა	X	X	
ბაზისური კლინიკური უნარები	X	X	X
მოდული - ნერვული სისტემა 1 *ნერვული სისტემის ანატომია 1* *ნერვული სისტემის ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია 1*	X	X	

ნერვული სისტემის ფიზიოლოგია 1 *ნერვული სისტემის ბიოქიმია 1*			
მოდული - ნერვული სისტემა 2			
ნერვული სისტემის ანატომია 2 *ნერვული სისტემის ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია 2* *ნერვული სისტემის ფიზიოლოგია 2* *ნერვული სისტემის ბიოქიმია 2* *შესავალი კლინიკაში(ნერვული სისტემა)*	X	X	
მოდული - გულ-სისხლძარღვთა სისტემა			
ანატომია (გულ-სისხლძარღვთა სისტემა) *ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია (გულ-სისხლძარღვთა სისტემა)* *ბიოქიმია (გულ-სისხლძარღვთა და სისხლის სისტემა)* *ფიზიოლოგია (გულ-სისხლძარღვთა და სისხლის სისტემა)*	X	X	
მოდული - სასუნთქი სისტემა			
ანატომია(სასუნთქი სისტემის + გულ- მკერდის რეგიონული ანატომია) *ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია (სასუნთქი სისტემა)* *ბიოქიმია (სასუნთქი სისტემა)* *ფიზიოლოგია (სასუნთქი სისტემა)* *შესავალი კლინიკაში (გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემები)*	X	X	
სამეცნიერო კვლევის საფუძვლები	X	X	
სამედიცინო ბიოეთიკა	X	X	
ინგლისური ენა მედიკოსებისთვის 3	X	X	

კლინიკური უნარები - პირველადი გადაუდებელი დახმარება	X	X	
მიკრობიოლოგია 1	X	X	
მოდული - ენდოკრინული სისტემა, კანი			
ანატომია (ენდოკრინული სისტემა, კანი) *ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია (ენდოკრინული სისტემა, კანი)* *ბიოქიმია (ენდოკრინული სისტემა, კანი)* *ფიზიოლოგია (ენდოკრინული სისტემა, კანი)*	X	X	
მოდული - საჭმლის მომნელებელი სისტემა			
ანატომია (ს მ ს + მუცლის ღრუს რეგიონული ანატომია) *ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია (საჭმლის მომნელებელი სისტემა)* *შესავალი კლინიკაში (საჭმლის მომნელებელი სისტემა)* *ბიოქიმია (საჭმლის მომნელებელი სისტემა)* *ფიზიოლოგია (საჭმლის მომნელებელი სისტემა)* *შესავალი კლინიკაში (საჭმლის მომნელებელი სისტემა)*	X	X	
ზოგადი ფარმაკოლოგია	X	X	
ზოგადი პათოლოგია	X	X	
იმუნოლოგია	X	X	
მიკრობიოლოგია 2	X	X	
ინგლისური ენა მედიკოსებისთვის 4	X	X	
მოდული - საშარდე, რეპროდუქციული სისტემები	X	X	

ანატომია (საშარდე, რეპროდუქციული სისტემების ანატომია + მენჯის რეგიონული ანატომია) *ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია (საშარდე, რეპროდუქციული სისტემები)* *ბიოქიმია (საშარდე, რეპროდუქციული სისტემები)* *ფიზიოლოგია (საშარდე, რეპროდუქციული სისტემები)* *შესავალი კლინიკაში (საშარდე, რეპროდუქციული სისტემები)*			
მოდული - გულ-სისხლძარღვთა და სისხლის სისტემის დაავადებათა საფუძვლები			
პათოლოგია (სისხლი, სისხლის მიმოქცევის სისტემა) *ფარმაკოლოგია (სისხლი, სისხლის მიმოქცევის სისტემა)* *ფიზიკური დიაგნოზი (ზოგადი, სისხლის მიმოქცევის სიტემა, სისხლის სისტემა)*	X	X	
მოდული - სასუნთქი სისტემის დაავადებათა საფუძვლები			
პათოლოგია (სასუნთქი სისტემა) *ფარმაკოლოგია (სასუნთქი სისტემა, ანტიმიკრობული საშუალებები)* *ფიზიკური დიაგნოზი (სასუნთქი სისტემა)*	X	X	
რეგიონული ანატომია ქირურგიის საბაზისო უნარებით	X	X	
ქცევათმეცნიერება	X	X	
სამედიცინო ფსიქოლოგია	X	X	
მოდული - ენდოკრინული, ნერვული სისტემის დაავადებათა საფუძვლები		X	
პათოლოგია (ენდოკრინული და ნერვული სისტემები) *ფარმაკოლოგია (ენდოკრინული და ნერვული სისტემები)*	X		

ფიზიკური დიაგნოზი (ენდოკრინული და ნერვული სისტემები)			
მოდული - საჭმლის მომნელებელი, საშარდე სისტემების დაავადებათა საფუძვლები *პათოლოგია (საჭმლის მომნელებელი, საშარდე სისტემა)* *ფარმაკოლოგია (საჭმლის მომნელებელი, საშარდე სისტემა)* *ფიზიკური დიაგნოზი (საჭმლის მომნელებელი, საშარდე სისტემა)*			
ზოგადი ქირურგია	X	X	
კლინიკური უნარები (შინაგანი მედიცინა)	X	X	
სამედიცინო გამოსახულებითი კვლევა (რადიოლოგია)	X	X	
საზოგადოებრივი ჯანდაცვა	X	X	
საზოგადიებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტი	X	X	
პრევენციული მედიცინა	X	X	
მოდული - გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების დაავადებები *შინაგანი მედიცინა 1 (კარდიოლოგია, პულმონოლოგია)* *ქირურგია 1 (თორაკალური, კარდიოვასკულური ქირურგია)*	X	X	X
მოდული - შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები *მეანობა - გინეკოლოგია* *უროლოგია* *კლინიკური უნარები მეანობასა და გინეკოლოგიაში*	X	X	X
ანესთეზიოლოგია	X	X	X
კლინიკური უნარები (კომუნიკაცია)	X	X	X

ბიოსტატისტიკა და ეპიდემიოლოგია	X	X	
მოდული - პედიატრია *პედიატრია* *კლინიკური უნარები პედიატრიაში*	X	X	X
მოდული - საჭმლის მომნელებელი, საშარდე, ენდოკრინული სისტემების დაავადებები *შინაგანი მედიცინა 2 (გასტროენტეროლოგია, ნეფროლოგია, ენდოკრინოლოგია)* *ქირურგია 2 (მუცლის ღრუს, ენდოკრინული ქირურგია)*	X	X	X
სამეცნიერო კვლევის უნარები	X	X	X
მოდული - ონკოლოგია და პალიატიური მზრუნველობა *ონკოლოგია* *პალიატიური მზრუნველობა*	X	X	X
კლინიკური ჰემატოლოგია	X	X	X
ლაბორატორიული მედიცინა	X	X	
მოდული - ძვალ-სახსართა დაავადებები *ტრავმატოლოგია და ორთოპედია* *ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია*	X	X	X
რევმატოლოგია და სისტემური დაავადებები	X	X	X
სასამართლო მედიცინა და მედიცინის სამართლებრივი ასპექტები	X	X	X
მოდული - გადაუდებელი მედიცინა	X	X	X

გადაუდებელი მდგომარეობები *გადაუდებელი ქირურგია* *კლინიკური ტოქსიკოლოგია*			
ინფექციური დაავადებები	X	X	X
ალერგოლოგია	X	X	X
დერმატოლოგია	X	X	X
სამეცნიერო ნაშრომის წერა	X	X	X
მოდული - ნერვული სისტემის დაავადებები *ნევროლოგია* *ნეიროქირურგია*	X	X	X
ფსიქიატრია	X	X	X
გერიატრია და საოჯახო მედიცინა	X	X	X
ოფთალმოლოგია	X	X	X
ოტორინოლარინგოლოგია	X	X	X
მოდული - კლინიკური მედიცინა *სინდრომების დიფერენციული დიაგნოზი* *კლინიკური ფრამაკოლოგია* *შემაჯამებელი კლინიკური უნარები*	X	X	X
მეანობა-გინეკოლოგია-შემაჯამებელი კურსი	X	X	X
პედიატრია - შემაჯამებელი კურსი	X	X	X
ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგია	X	X	

ფიზიკა მედიკოსებისთვის	X	X	
ბიოლოგია მედიკოსებისთვის	X	X	
ქიმია მედიკოსებისთვის	X	X	
სოციოლოგია	X	X	
ჰიგიენა	X	X	
მედიცინის ისტორია	X	X	
მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია	X	X	
ფილოსოფიის საფუძვლები	X	X	
ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	
საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	X	X	
ნუტრიციოლოგია	X	X	
კლინიკური ფსიქოლოგია	X	X	
ფიზიოთერაპიის პრინციპები	X	X	
სპორტული მედიცინა	X	X	X
ელექტროკარდიოგრაფია	X	X	X
ყბა-სახის ქირურგია	X	X	X
ძირითადი სტომატოლოგიური დაავადებები	X	X	X
ბავშვთა ქირურგია	X	X	X
ნეონატოლოგია	X	X	X
ნარკოლოგია	X	X	X

ინტერპროფესიონალური ტელემედიცინა	X	X	X